ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №3

19.12.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შოთა ქევხიშვილი - კომისიის წევრი;
3. ვალერიან პაპუაშვილი - კომისიის წევრი;
4. ლეილა კოლომიკოვი - კომისიის წევრი;
5. ბექა მენთეშაშვილი - კომისიის წევრი;
6. დავით ჭელიძე - კომისიის წევრი;
7. დავით ხაბეიშვილი - კომისიის წევრი;
8. გიორგი გვენეტაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535142-03; 17.12.2025);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032533938-03; 05.12.2025);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე

მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა, წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535142-03; 17.12.2025):

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 20,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 ნოემბრის MOH 3 25 01322369 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს - 2 353 808,4 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

პროექტის თანახმად, იზრდება:

- ✓ გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 252,0 ათასი ლარით;

- ✓ გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები - 420,0 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი (10 22) - 300,0 ათასი ლარით.

პროექტის თანახმად, მცირდება:

- ✓ გზების მოვლა - შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 96,2 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლა - შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3,2 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლა - შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 15,9 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლა - შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 544,0 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 183,6 ათასი ლარით;
- ✓ მდგრადი ურბანული მობილობა გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგენებები - 5 220,9 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 085 987,8 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 267 820,6 ათასი ლარით, ხოლო, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 000 987,8 ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535142-03; 17.12.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032533938-03; 05.12.2025):

დ. ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.“

განკარგულების მოქმედი რედაქციის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდებოდა 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე. ხოლო წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, განკარგულების მოქმედება გავრცელდება 2023 წლის პირველი ივლისიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032533938-03; 05.12.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა:

შ.ოგბაიძე - საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების მიხედვით, კომისიამ კომისიის წევრთაგან უნდა განსაზღვროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. მოცემულ პოზიციაზე წარმოგიდგენთ დავით ჭელიძის კანდიდატურას.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურა და დავით ჭელიძე განსაზღვრული იქნა, როგორც თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე